

შპს „იმერეთგაზმშენის“ დაჯარიმების
შ ე ს ა ხ ე ბ

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს განსახილველად დაეწერა შ.პ.ს „იმერეთგაზმშენის“ დირექტორის, ბატონ ამირან კუჭავას 11.08.2014 წლის №01-5691 განცხადება, რომლითაც მოითხოვს ქ.ქუთაისში ლომოურის ქ. №7-ში მდებარე, მშენებარე მრავალპროფილიანი ობიექტის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას.

ობიექტის შემოწმებისას გამოირკვა, რომ დარღვეულია პირვანდელი სამშენებლო დოკუმენტის პროექტი, კერძოდ:

B-ბლოკში უკვე მოწყობილია 5^{-ე} ღერძებზე არსებული კოლონები და მის ქვემოთ მდებარე მიწისქვეშა სართული.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „იმერეთგაზმშენი“ /ქ.ქუთაისი ლომოურის ქ. №7/ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ნოდარ მიქიაშვილმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია